ადამიანის სხეული

მაღალი დონე

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

ნათია გორგაძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

თბილისი

2020 წელი

ადამიანის აგებულება

შინაარსი

ადამიანის სხეული 3

სხეულის 7 ნაწილი 6

გრძნობის ორგანოები..... 9

დასკვნა..... 16

ადამიანის სხეული

ჩვენ დავდივართ, ვხტუნავთ, ვჭამთ, ვიცინით, ვაგემოვნებთ, გვიხარია, გვტკივა, მოგვწონს, გვწყურია, გვძინავს, ვვარჯიშობთ, ვკითხულობთ, ვუსმენთ, ვფიქრობთ და კიდევ ბევრი სხვა რამის გაკეთება შეგვიძლია.

ყველა მოქმედებაში ჩვენი სხეული არის ჩართული. ადამიანის სხეული ძალიან ბევრი ნაწილისგან შედგება.



ადამიანის სხეულის ყველა ნაწილი მნიშვნელოვანია.

რა არის ადამიანის სხეული და რისგან შედგება ის? ადამიანის სხეულს რამდენიმე მეცნიერება სწავლობს. ერთ-ერთია **ანატომია.**

ანატომია ბერძნული სიტყვაა და გაკვეთას ნიშნავს.

ადამიანის სხეული უთვალავი უჯრედისგან შედგება, რომლებიც ქმნიან სხეულის განსხვავებულ ქსოვილებს.

ქსოვილები ქმნიან კანს, ძვლებს, კუნთებს, სახსრებს, ორგანოებს.

სხეულის 7 ნაწილი

როდესაც სარკეში ვიყურებით ან სხვას ვუყურებთ, ჩვენ ვხედავთ სხეულის შვიდ ნაწილს; ესენია: თავი, კისერი, ტორსი, მკლავები, ხელები, ფეხები და ტერფები. ადამიანის სხეული გარედან კანით არის დაფარული.

ადამიანების სხეულები ერთმანეთისგან განსხვავდება სიმაღლით, წონით, კანის ფერით.

ადამიანების სხეულები განსხვავდება აგებულებით. განსხვავებულია მამაკაცის და ქალის სხეულების აგებულებაც.

თავში მოთავსებულია ტვინი, რომელიც ადამიანის აზროვნების ორგანოა. ის ადამიანის სხეულის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

გრძნობის ორგანოები

თავზე მოთავსებულია თვალები, ყურები, ცხვირი და პირი. ისინი გრძნობის ორგანოებია და **გარეგან ორგანოებს** მივაკუთვნებთ.

თვალებით ვხედავთ.

ყურებით გვესმის.

ცხვირით ვგრძნობთ სუნს.



ენით ვგრძნობთ გემოს.

ცხვირი სუნთქვის ორგანოცაა. პირი კი - მეტყველებისაც.

ყველა გრძნობის ორგანო დაკავშირებულია ტვინთან. ადამიანის ამ ერთ ორგანოს მრავალი ფუნქცია ენიჭება. ტვინი იღებს სიგნალებს ორგანოებისგან. ამიტომ არის, რომ ადამიანი ხედავს, ესმის, გრძნობს სუნს და გემოს. ადამიანის მეხუთე გრძნობაა შეხება. შეხების შეგრძნებაზე ადამიანის მთელი სხეულია პასუხისმგებელი.

შეხების შეგრძნებაზე ადამიანის ნერვული სისტემაა პასუხისმგებელი, რომელიც პირდაპირ ტვინს უკავშირდება. ამიტომ არის, რომ ვგრძნობთ ტკივილს ან უფრო მეტად გვსიამოვნებს ზოგიერთი ტანსაცმლის ტარება. ამ დროს ჩვენს გვსიამოვნებს ტანსაცმლის ქსოვილის შეხება ჩვენს კანზე, სადაც ნერვული დაბოლოებებია. შეხებისას ნერვული დაბოლოება სიგნალს ტვინს აწვდის.



ადამიანი, როგორც ყველა ცოცხალი არსება, ცოცხლობს ჟანგბადით. ადამიანი ჟანგბადს

ჩაისუნთქავს და სისხლი ჟანგბადს მთელ სხეულს, მთელ ორგანიზმს აწვდის.

კისერში მოთავსებულია საყლაპავი და სასუნთქი ორგანოები.



საყლაპავი ორგანოები საჭმლის მონელების სისტემასთან არის დაკავშირებული და მისი ნაწილიცაა. ტანში მოთავსებულია ყველა შინაგანი ორგანო, რომელიც სუნთქვაზე, საჭმლის მონელებაზე, სისხლის მიმოქცევაზე და ბევრ სხვა პროცესზეა პასუხისმგებელი.



მკლავები, ხელები, ფეხები და ტერფები ადამიანის მოძრაობაზეა პასუხისმგებელი.

ადამიანს ხელებსა და ტერფებში ძალიან ბევრი ძვალი და სახსარი აქვს, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ სხეულის სხვადასხვა ნაწილი.



დასკვნა

ადამიანის სხეული რთული სისტემაა. ის სხვა ცოცხალი არსებებისგან იმით გამოირჩევა, რომ ადამიანის ტვინი განსაკუთრებით განვითარებულია და აზროვნება შეუძლია. მხოლოდ ადამიანს შეუძლია წაიკითხოს და გამოიტანოს აზრი, გააკეთოს დასკვნები, დაუკავშიროს ცოდნა

გამოცდილებას, გაიგოს მეტი. ამიტომ არის, რომ მას ბევრი სხვადასხვა მეცნიერება სწავლობს.



რომელი მეცნიერება გახსენდება ადამიანის სხეულთან კავშირში? ალბათ **მედიცინა.** თუმცა, ადამიანის გრძნობებს და ემოციებს **ფსიქოლოგია** სწავლობს. ტვინს - **ფსიქიატრია**.

ჩვენ კარგად უნდა ვიცნობდეთ ჩვენს სხეულს, რათა მივხვდეთ, თუ რა სჭირდება მას კარგი მუშაობისათვის.